საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

მოსარჩელე

მოსარჩელე, სამოქალაქო ან ადმინისტრაციული პროცესის მონაწილე ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომლის სარჩელითაც აღიძვრება შესაბამისი საქმე სასამართლოში ან არბიტრაჟში უფლების აღიარების ან დაცვის მიზნით.

მ. ასახელებს მოპასუხეს, მის მოწინააღმდეგე მხარეს, ვისაც ეკისრება პასუხისმგებლობა **მ**-ის მოთხოვნაზე. **მ**-ს უფლება აქვს მონაწილეობა მიიღოს საქმის განხილვაში პირადად ან წარმომადგენლის მეშვეობით; სასამართლოს წარუდგინოს ახსნა-განმარტება და სხვა მტკიცებულებები, შუამდგომლობები, განაცხადოს აცილება; გაეცნოს საქმის მასალებს და გადაიღოს მათი ასლები; მონაწილეობა მიიღოს მტკიცებულებების გამოკვლევაში: დაუსვას შეკითხვები მხარეებს და მათ წარმომადგენლებს, მოწმეებს, ექსპერტებს, სპეციალისტებს; წარადგინოს მოსაზრებები საქმის წარმოებისას წამოჭრილ ყველა საკითხზე; ჩაიბაროს სასამართლოს გადაწყვეტილება, განჩინება და სხვა საპროცესო დოკუმენტები და გაასაჩივროს ისინი.

მ. ვალდებულია სარჩელის აღძვრისას გადაიხადოს სახელმწ. ბაჟი. სარჩელში სწორად მიუთითოს საკუთარი, მოპასუხისა და პროცესის სხვა მონაწილის მისამართი, წარადგინოს ყველა მითითებული მტკიცებულება.

საქმის განხილვის პროცესში **მ**-ის თანხმობით სასამართლოს შეუძლია არასათანადო (თავდაპირველი) **მ.** შეცვალოს სათანადო **მ**-ით.

მ-ს შეუძლია, უარი თქვას სარჩელზე მთლიანად ან ნაწილობრივ, ან გაიხმოს ის, ასევე მოურიგდეს მოპასუხეს ან მასთან შეთანხმებით მოითხოვოს საქმის მედიატორისთვის

გადაცემა.

ი. უჯმაჯურიძე